## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს

## სხდომის ოქმი №45

თბილისი

01.08.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:*

**ქეთევან ქოქრაშვილი** - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**გიორგი ამილახვარი** - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;

**ნინო ლიპარტია** - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

**ლევან გორდეზიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

**ნიკოლოზ ჯავახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

**ხათუნა თოდაძე** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

**ანა ფირცხალაშვილი** - შპს :გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

**მაკა ლაშხია** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**გიორგი ქვარცხავა** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

**დენიტა ბიბილეიშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

**სალომე თოთიბაძე** - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

**თეა მჭედლური** - საქართველოს არასამტავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები:**

**გიორგი ბაქრაძე** - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ქირურგი-ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი;

**გიორგი ხუფენია** - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;

**დავით გაგუა** - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" პროფესორი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;

**ირაკლი კოხრეიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი;

**კახაბერ ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შინაგან დაავადებათა N1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;

**ნათია ნოღაიდელი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი;

**ნინო კეკელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმი;

**პაატა იმნაძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე

**რუსუდან რუხაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

**ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფროსი

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:*

**ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

**ქრისტინა გაბისონია** - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიო ჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:*

**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:**

**გოდერძი ბუჩაშვილი** - პროორექტორი;
**თეა კბილცეცხლაშვილი** - ბიზნესის მართვლის ფაკულტეტის დეკანი;
**კახაბერ ჯაყელი** - „მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
**მაგდა მემანიშვილი** - „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

**შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:**

**მამუკა თავხელიძე** - რექტორი;
**გულნაზი გალდავა** - რექტორის მოადგილე;
**მოგელი შენგელია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ნინო წილოსანი** - „სტომატოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
**ანა თეგეთაშვილი** - მედიცის სკოლის დეკანი;
**ზაზა ბერიშვილი** - „მედიცინის" საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტები:*

გიორგი გაბისონია
მარიამ თევზაძე
ივანა ობორნა ჩაერთო სკაიპით

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:41 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ხელოვნების მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა;

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა, დააყენა შუამდგომლობა პირველი განხილულიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, შემდეგ კი მეოთხე საკითხი, რადგან საკითხი ეხებოდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ანგარიშების წარდგენას. ამასთან ერთად, პირველი საკითხის განხილვის დაწყების უფლება საბჭოს არ ჰქონდა მანამ სანამ მოწვეული დარგის ექსპერტების კვოტა არ იქნებოდა. საბჭოს წევრები, დამსწრე საზოგადოება დაეთანხმა საბჭოს თავჯდომარეს და შესაბამისად დამტკიცდა ახალი **დღის წესრიგი:**

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ხელოვნების მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა

1. **შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მარკეტინგი |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა, წარმოადგინა განსახილველი საკითხი და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა მათ წარმოედგინათ ანგარიში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი დაწვრილებით გაეცნენ ყველა რეკომენდაციას, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები ჩაატარეს და შემდგომი ცვლილებები აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. კონკრეტულად დეტალებზე ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა კახაბერ ჯაყელმა. მან აღნიშნა, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ რეკომენდაციები მთლიანად იქნა გათვალისწინებული. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, პირველი რეკომენდაცია იყო მეტად გააქტიურებულიყო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ პოტენციური დამსაქმებლების როლი და სრულად ყოფილიყო გამოყენებული ის მოთხოვნა რაც დამსაქმებლებს თანამედროვე მარკეტოლოგების მიმართ გააჩნიათ, შესაბამისად მათ გადაწყვიტეს ფაკულტეტზე ჩაეტარებინათ პოტენციური დამსაქმებლების კვლევა. აღნიშნული კვლევის შედეგები უნივერსიტეტმა გამოიყენა და მათ მიერ გამოგზავნილ თვითშეფასების ანგარიშში არის მოცემული საკითხები, რომლებიც შეიცვალა. გაძლიერდა სილაბუსში ის კომპონენტები, რომელიც საქართველოს ბაზარზე ძალიან მნიშვნელოვანია მარკეტერის პროფესიონალისათვის, მათთვის ვინც დაამთავრა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და გააჩნია ბაკალავრის სტატუსი. მისი განმარტებით, მათ გაითვალისწინეს მეორე რეკომენდაციაც, ცალკეული კურსებისათვის დაშვების წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით და თვითშეფასების ანგარიშის ჩამონათვალში არის მოცემული ის საგნები და სემესტრები, რომლებზეც განისაზღვრა პრერეკვიზიტების სახით, დაშვების წინაპირობა. შესაბამისი მტკიცებულებები და ინდიკატორები დაწესებულებამ გამოგზავნა, ესენია: საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, სადაც მითითებულია დაშვების წინაპირობები.

დაწესებულების წარმომადგენელმა შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითობის უზრუნველყოფას, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის გეგმის მარკეტინგის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის გაითვალისწინეს 27 კრედიტი, შეთავაზებულია 58 კრედიტი, ასევე მისი თქმით, სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს 65 კრედიტის ფარგლებში საგნები და აითვისოს თავისუფალი კრედიტის სახით სხვა დისციპლინები.

შემდეგ რეკომენდაციასთან, სტუდენტებისთვის სემესტრული გადანაწილების დეტალური ინფორმაციის მიწოდებასთან და სავალდებულო საგნების შესაბამის სემესტრში გავლასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ამჟამად საგნები სემესტრულად სწორად არის გადანაწილებული, გამომდინარე იქიდან, რომ მათ გაითვალისწინეს მეორე რეკომენდაცია დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. აღნიშნული გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლებიც ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და სტუდენტების

საინფორმაციო პორტალზე. მისი განმარტებით, სასწავლო კურსზე დარეგისტრირება ხდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვას და ასევე პროგრამის ხელმძღვანელი თავად ეხმარება სტუდენტებს დარეგისტრირებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალის გაზრდასთან და სავალდებულო კურსებზე სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის წარმართვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოცხადებულია სამ აკადემიურ პოზიციაზე, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე მარკეტინგში 2 ვაკანტური ადგილი, ასისტენტ - პროფესორის პოზიციაზე მარკეტინგში 1 ვაკანტური ადგილი.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გაზრდასთან და უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ სტუდენტებმა ახლახან კრაკოვში გამართულ მარკეტინგის ოლიმპიადაზე პირველი ადგილი მოიპოვეს და ისინი მუდამ ცდილობენ ამ კუთხით, კვლევითი საქმიანობის წახალისებას. მან ისაუბრა უსდ - ს გეგმებთან დაკავშირებითაც, მისი თქმით, შემოდგომის სემესტრის ბოლოს ყველა მიმართულებით და მარკეტინგის მიმართულებითაც დაგეგმილია სერიოზული კვლევითი კონფერენციის გამართვა, სადაც სტუდენტები და მათი პროფესორები მიიღებენ მონაწილეობას. კონფერენციას ექნება საერთაშორისო სტატუსი, ისინი ელოდებიან კრაკოვის ეკონომიკის სამინისტროდან და ბიზნესის სკოლიდან 14 სტუდენტისა და პროფესორების ჩამოსვლას, რომლებიც ამ კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას. კრაკოვის ეკონომიკის წარმომადგენლები კონფერენციაზე ჩამოდიან სპეციალური, საერთაშორისო სემინარის მოწყობის მისიით, მათი სტუდენტები იქნებიან ჩართული და იქნება საინტერესო კვლევითი კოოპერაცია პროფესორებსა და სტუდენტებს შორის.
სტუდენტთა ინიციატივებისათვის თანხის მოცულობის გაზრდასთან და მათთვის ამ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დანახარჯები სტუდენტთა შემოქმედებით აქტივებობზე გაიზარდა, დამტკიცდა ახალი ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც 30% - ით გაიზარდა აღნიშნული თანხა.

სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის გაფორმებული მემორანდუმების განახლებასთან და სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების სარგებლობის ფართო არეალით სარგებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით უსდ - ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს 55 მემორანდუმი, რომელთაგან 22 მემორანდუმის განახლება მოხდა, ხოლო 33 მემორანდუმი არის ვადიანი.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს - არსებობდა თუ არა ისეთი რეკომენდაცია, რომელიც მათ არ გაითვალისწინეს და აქვთ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთი რეკომენდაცია არ არსებობს და განაგრძო ანგარიშის წარმოდგენა აფილირებული პროფესორების მეტ ჩართულობასთან

დაკავშირებით, მისი განმარტებით, დაოქმებულია შეხვედრები, ხდება სურათების გადაღებაც, რაც ასევე თანდართულია ანგარიშზე.

ბოლო რეკომენდაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მარკეტინგის მიმართულებით კომპეტენციის გაძლიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულია მისი ბიოგრაფია, ის ასწავლიდა კენესოუს სახელმწიფო უნივერსიტეტში ატლანტაში გლობალ მარკეტინგსა და მარკეტინგის პრინციპებს, ასევე ასწავლიდა მარკეტინგს გერმანულ უნივერსიტეტებში, იელის უნივერსიტეტში ფულბრაიტის ფონდის სტიპენდიანტი და აქვს ძალიან ბევრი ნაშრომი გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე სერიოზულ ჟურნალებში, ასევე წიგნები ევროკავშირში.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა, დააყენა შუამდგომლობა განეხილად მეორე საკითხიც, რომელიც ასევე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ანგარიშის წარმოდგენას ეხებოდა „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამეზე, და გადაწყვეტილება მიეღოთ მოგვიანებით, მეორე საკითხის გავხილვის შემდეგ. საბჭოს წევრები, დამსწრე საზოგადოება დაეთანხმა შუამდგომლობას.

**2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჟურნალისტიკა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ჟურნალისტიკის ბაკალავრი<br>0703 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა წარმოედგინათ ანგარიში მეორე საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 29 იანვარს. მისი განმარტებით, დეკემბრის თვეში, რეაკრედიტაციის მიზნით უსდ - ში ვიზიტით იყვნენ მისულები ექსპერტთა 3 კაციანი ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს რეკომენდაციები და რჩევები. ასევე, მან ისაუბრა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებზეც, რომელიც ეხებოდა ენის სწავლების დონეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში და მესამე რიგის რეკომენდაციები მისი თქმით ეკუთვნოდა გარე ექსპერტს ნინო ჟიჟილაშვილს, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს მოთხოვნით იქნა მიწვეული.

დეკემბერში მისული სამ კაციანი ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, ეხებოდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის პროგრამებისა და საერთაშორისო კონფერენციებში აქტიურ ჩართულობის გაზრდას, გაცვლითი პროგრამებით სტუდენტთა დაინტერესებას და იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტი საერთაშორისო სტატუსს ამყარებს საზღვარგარეთ უნივერსიტეტებთან ინტენსიური კონტაქტებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბებას. მისი თქმით, ამ რეკომენდაციებზე მათ იანვარშივე დაიწყეს აქტიური მუშაობა და 2019 წლის გაზაფხულზე ორი სტუდენტი გაუშვეს გაცვლითი პროგრამით პოლონეთში.

რჩევებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ ექვსი რჩევა, რომელთაგანაც გაითვალისწინეს ხუთი, ვერ გაითვალისწინეს ერთადერთი რჩევა, რომელიც ეხებოდა ზოგადი განათლებისთვის განკუთვნილი არჩევითი საგნების ცალკე მოდულად გადატანას. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია კი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო ქართული ენის შესაბამისი დონით ფლობა. აღნიშნული რეკომენდაციაც იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში მკაფიოდ წერია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, რომ ჩააბარონ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უნდა დაადასტურონ ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობა.

გარე ექსპერტის ნინო ჟიჟილაშვილის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კურსს ახალ მედიას, რომელიც უნდა ისწავლებოდეს არა ბოლო ეტაპზე, არამედ არაუგვიანეს მესამე სემესტრისა ახალი ამბების კურსის გავლის შემდეგ ვინაიდან ინტერნეტის ეპოქაში ეს არის ჟურნალისტიკის ერთ - ერთი საბაზისო საგანი. დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ მათ ეს რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს და განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ლოგიკა ისეა აწყობილი, რომ პირველ მეორე კურსზე ისწავლება წერა გაზეთისა და ჟურნალის, მესამე კურსზე - სატელევიზიო ახალი ამბები, ახალი ამბები რადიოში. შესაბამისად, ახალი მედია მოითხოვს სტუდენტს ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ტრადიციულ მედიაში. მან ასევე დაამატა, რომ აპრილში ისინი შეხვდნენ მოწვეულ პერსონალს და საგნის პედაგოგმაც ეკა ფირცხალავამაც სრულად გაიზიარა ეს არგუმენტი. უსდ - ს წარმომადგენლის თქმით მიუხედავად იმისა, რომ ახალი მედია სტუდენტს ასწავლის პლანშეტებითა და ტელეფონებით ვიდეოგადაღების ტექნიკას, მაგრამ ეს არის მისი განმარტებით ზედა დონე, მანამდე სტუდენტმა უნდა იცოდეს კამერასთან მუშაობა. შესაბამისად, მიმართულების მოწვეულ და აფილირებულ პერსონალთან თათბირის შედეგად გადაწყდა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებდნენ.

შემდეგი რეკომენდაცია უსდ - ს წარმომადგენლის თქმით ეხებოდა ლიტერატურის ინგლისურენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას მეექვსე, მეშვიდე, მერვე სემესტრში გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტს მეოთხე სემესტრიდან მოეთხოვებოდა B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა. აღნიშნული რეკომენდაციაც სრულად იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რაიმეს დამატება.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 17:05 საათზე.
სხდომა განახლდა: 17:10 საათზე.

საკითხი 1:
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანარიშის საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[6] მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საბჭომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად

საკითხი 2:
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანარიშის საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[6] მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საბჭომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად

3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | დიპლომირებული მედიკოსი<br>0901 |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 360 |

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექპერტმა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 28 და 29 ივლისს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. მისი თქმით, მათ მიერ მოხდა უნივერსიტეტის ადგილზე დათვალიერება, გასაუბრება პერსონალთან და წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და **რეკომენდაციები**:

1: პროგრამის მიზნის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება პროგრამის დასაწყისიდანვე დაუთმეთ ქართული ენის უნარების განვითარებას სტუდენტებში, რათა მიეცეთ შესაძლებლობა უკეთ დაამყარონ კომუნიკაცია პაციენტებთან, ისევე როგორც - პერსონალთან კლინიკის პირობებში (მუხლი 4, პუნქტი 2.ა.ბ).
მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებების დროში განაწილება და კონტენტი უნდა დასახელდეს/გაცხადდეს (ყოველი სემესტრის შემდეგ,

ყოველი საგნის დასრულების შემდეგ...). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასებაში ასევე, უნდა მოიცვას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებები, რათა უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. საჭიროა დაკონკრეტდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის მთლიანი პროცესი, მათ შორის დროში განაწილება და პასუხისმგებლობები.

2: შემოთავაზებულ მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში განათლების ხარისხის შენარჩუნების მიზნით, ასევე, შემოთავაზებულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რეკომენდებულია, რომ სწავლებისთვის თითოეული ტიპისთვის (მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), „ავადმყოფის საწოლთან" სწავლება) უნდა განისაზღვროს სტუდენტთა ჯგუფის მაქსიმალური ზომა, სიფრთხილით შეირჩეს მიღებული სტუდენტების რაოდენობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და აკადემიური პერსონალის ფაქტორის გათვალისწინებით, დადასტურდეს ინგლისური ენის ფლობა სტუდენტებში, დაკონკრეტდეს პირობები გადმოსული სტუდენტებისთვის, გამოიყენეთ მაღალი შერჩევითობის პრინციპი პროგრამაზე გადმოსასვლელი სტუდენტების შერჩევისას, როდესაც ეს გახდება პროგრამის ნაწილი.
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ან სამედიცინო სკოლამ უნდა უზრუნველყოს OSCE[1] ტრენინგი შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.

3: განსაკუთრებით არის რეკომენდებული სტუდენტთა კავშირის განვითარების აქტიური ხელშეწყობა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაა, ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია მხედველობაში მივიღოთ სტუდენტური ორგანიზაციების დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით (მედიცინა, ბიზნესი....).
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი უნდა მოიცავდეს ყველა უნივერსიტეტში არსებული ცენტრის შესახებ განახლებულ ინფორმაციას, მათ შორის საკონტაქტო საათებსა და ხელმძღვანელი პირების შესახებ ინფორმაციას.
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ერთი და იმავე ინფორმაციის არსებობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

4: მედიცინის ნებისმიერი სამედიცინო პროგრამის წარმატებით განსახორციელებისთვის გადამწყვეტი პირობა კვალიფიციური და კომპეტენტური აკადემიური პერსონალია. პროგრამას უნდა ჰყავდეს საკმარისი პერსონალი არამხოლოდ სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლადაც, როგორიცაა კვლევა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს აკადემიური პერსონალისადმი არსებულ მიდგომას და გაზარდოს თანამშრომლების რაოდენობა მუდმივი, იდეალურ შემთხვევაში სრულ განაკვეთიანი კონტრაქტების დადებით, რათა უკეთ დააბალანსოს აფილირებული/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა.
თითოეული სასწავლო მეთოდისთვის უნდა დასახელდეს სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა (მაგ. PBL, „ავადმყოფის საწოლთან" სწავლება).

[1] ობიექტზე სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

შემდეგ, საჭიროა ფრთხილი გაანგარიშება სათანადო სწავლებისა და კლინიკური მომზადების უზრუნველსაყოფად. **ოპტიმალური გაანგარიშება იძლევა სრული დროის ექვივალენტს (FTE).** FTE[2] არის საათები - სრული განაკვეთზი. კონცეფცია გამოიყენება რამდენიმე ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლის საათების კონვერტაციისთვის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საათებად. ყოველწლიურად, FTE მიჩნეულია, რომ უნდა იყოს 2080 საათი, რომელიც ასე გაანგარიშდება: დღეში 8 საათი გამრავლებული 5 სამუშაო დღეზე კვირაში, გამრავლებული 52 კვირაზე წელიწადში= 2,080 საათს წელიწადში. როდესაც მედიცინის სკოლა ასაქმებს მნიშნელოვანი რაოდენობის ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს, შესაძლოა სასარგებლო იყოს მათი ნამუშევარი საათების კონვერტაცია სრული განაკვეთის ექვივალენტად, რათა დაინახოთ თუ რამდენ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელს უტოლდება მათი მუშაობა. ძლიერ რეკომენდებულია, FTE მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისშივე გამოყენება და ხელახალი დაანგარიშების განხორციელება თითოეული სემესტრისთვის. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალისთვის, სადაც მხოლოდ საკონტაქტო საათები ანგარიშდება, მაგრამ ასევე აფილირებული პერსონალისთვისაც, სადაც მხოლოდ სწავლისთვის დათმობილი სათანადო საათების დაანგარიშება მოხდება.

როგორც აღინიშნა 2.1-ში ამჟამინდელ პერსონალთან დაკავშირებით, დაგეგმილი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა კონტინგენტის მაქსიმალური ზომა არის 50 მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.

დააწესეთ სტუდენტთა ჯგუფების მაქსიმალური ზომა თითოეული სწავლების მეთოდისთვის (მაგ. PBL, პაციენტის საწოლთან სწავლება), სიფრთხილით განსაზღვრეთ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, შესაძლებლობებისა და აკადემიური პერსონალის გათვალისწინებით.

უნდა მომზადდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების განრიგი. ასევე, დამატებითი ტრენინგი უნდა ჩატარდეს მათთვის, ვინც უკვე გაიარა გადამზადება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს OSCE-ს.

სიმულატორების/მანეკენების რაოდენობა თანდათანობით უნდა გაიზარდოს.

გაფართოებული ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიოს არსებობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი კურსის მსვლელობისას.

**გააფართოვეთ და აწარმოეთ თანამშრომლობა საავადმყოფოებთან/ჯანდაცვის დაწესებულებთან, სადაც ტარდება კლინიკური ტრენინგები.**

უნდა მომზადდეს პაციენტის თანხმობა საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პაციენტის მონაწილეობა, როგორც სტანდარტიზებული პაციენტის OSCE-ს გამოცდებში.

ნებისმიერი ბიუჯეტი, რომელიც მხოლოდ ან უმეტესად ეყრდნობა სტუდენტთა სწავლის საფასურს, არის დაუცველი ცვლილებებისა/უკანსვლის პროცესში. უნდა განისაზღვროს სხვა ფინანსური წყაროებიც.

უნდა განისაზღვროს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის მკაფიო სარეზერვო და დაფინანსების პოლიტიკა მინიმუმ ექვსი წლისთვის (მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა).

5: ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე ინგლისურ ენაზეც.

---

[2] full time equivalent

ასევე წარმოადგინა რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. ყველა არსებული დაინტერესებული პირის, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის საუკეთესო მუშაობის მისაღწევად, მთლიანი სემესტრული პროგრამის დეტალური ცხრილი, მათ შორის კონკრეტული აფილირებული/მოწვეული პერსონალის სახელები, დროები, ადგილი და სტუდენტთა შესაბამისი ჯგუფების რაოდენობა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მაქსიმუმ სემესტრის დასაწყისში, რათა შესაძლებელი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე პარამეტრის უწყვეტი შეფასება (მაგალითად, სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათი განთავსება) და ა.შ. ამგვარად, მედიცინის ახალ სამედიცინო პროგრამას, ექნება შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ მოხდეს მისი შეფასება უშუალოდ დანერგვის დასაწყისიდანვე. ეს სრულად შესაბამისობაშია ევროკავშირის მედიცინის სკოლებში არსებულ ამჟამინდელ სტრატეგიებთან.

ადამიანის მიკროფლორის როლი და გენეტიკური კონსულტაციები შესაძლოა განხორციელდეს შესაბამის საგნებზე, კონკრეტულ მოდულებში.

ყურადღება უნდა დაეთმოს სამედიცინო ტერმინოლოგიას, რომელიც გამოყენებულია ამჟამინდელ წერილობით მასალებში, მაგალითად „ოპერატიული ოპერაცია" (Operative Surgery) (ეს გულისხმობს, რომ არსებობს არაოპერატიული ქირურგიული ოპერაციაც), Stoma Care (ღრუს მოვლა), „მედიცინის მენეჯმენტი - რექტალური, ვაგინალური, ოფთალმოლოგიური, ნაზალური, სმენის ადმინისტრირება", „ლექტორი აგროვებს დაშვებულ შეცდომებს და აკეთებს კომენტარებს სტუდენტების წინაშე" და ა.შ.

2. გააფართოვეთ და შეინარჩუნეთ ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიო კურსის მსვლელობისას. ასევე, ეს მონაცემთა ბაზები ძლიერ საფუძველს ქმნიან კვლევითი შესაძლებლობებისთვის.

3. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ან სამედიცინო სკოლამ უნდა უზრუნველყოს OSCE ტრენინგი შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.

4. მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისისთანავე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა დაუთმოს კლასგარეშე აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს კონტაქტს ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის. უნდა დაინერგოს პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, მედიცინის სადოქტორო პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში.

5. პასუხისმგებლობების/ანგარიშვალდებულების და დროის გადანაწილების მკაფიო სქემა უნდა არსებობდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლებისა და სასწავლო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებლობა. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის როლი. ერთასფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების დროში განაწილება და შინაარსი უნდა დასახელდეს (ყოველი სემესტრის შემდეგ, ყოველი საგნის დასრულების შემდეგ...). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ასევე, უნდა მოიცვას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებები შეფასებაში, რათა უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. კომუნიკაციის მთლიანი პროცესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის

სტრუქტურულ ერთეულებს შორის უნდა დაკონკრეტდეს, მათ შორის დროში განაწილება და კომპეტენციები.

6. უნდა მომზადდეს განრიგი გარე შეფასებისთვის, სადაც მოცემული იქნება შესაბამისი შესაფასებელი სფეროებიც.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ინფორმირებული თანხმობის ფორმის შესახებ განუმარტა ექსპერტს, რომ არსებობს მინისტრის ბრძანება, [3]რომელიც ყველასათვის სავალდებულოა და უნივერსიტეტმა, რომც არ მოინდომოს, ეს ბრძანება განსაზღვრას ინფორმირებულ თანხმობას, შესაბამისად მათ შეეძლოთ ეს მოეძებნათ გუგლში.

საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ თავის მხრივ დაამატა, რომ მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია რა მანიპულაციების დროს არის სავალდებულო და რა მანიპულაციების დროს არ არის სავალდებულო ინფორმირებული თანხმობა პაციენტის მხრიდან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ კი განმარტა, რომ დოკუმენტალურად არ იყო წარმოდგენილი ვიზიტის დროს აღნიშნული ინფორმაცია, ბრძანების შესახებ კი მან იცის.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა, აღნიშნა ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომ არსებობს ბიუჯეტის [4] განმარტება მაგალითად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით. მისი თქმით, ბიუჯეტი არის შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვა წყაროებისა და გასავლის მითითებით, შემოსავალი და გასავალი უნდა იყოს ერთნაირი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ მისთვის გასაგებია აღნიშნული, მაგრამ ის გულისხმობდა სარეზერვო ფონდის პრობლემას, საჭიროა განისაზღვროს უსდ-ს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სარეზერვო და დაფინანსების პოლიტიკა მინიმუმ 6 წლისთვის მედიცინის პროგრამის ხანგრძლივობა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა ექსპერტთან, რომ თანხმობის ფორმა როგორც მან ნახა ეხებოდა სტანდარტიზებულ პაციენტებს, ექსპერტმა, გიორგი გაბისონიამ დაუზუსტა, რომ ნამდვილად ინგლისური თარგმნის თანახმად ინფორმირებული თანხმობა ეხებოდა არა ჩვეულებრივ არამედ სტანდარტიზებულ პაციენტებს.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მას დაეფიქსირებინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და გამოთქვა სურვილი კონსტრუქციული თანამშრომლობის გაგრძელებისა. მან აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი არის სრული შესაბამისობა, რაც გულისხმობს მიზნებისა და შედეგების ფორმირებას და მათ ურთიერთობას ერთმანეთთან. მეორე სტანდარტი, რაც გულისხმობს სწავლების ორგანიზებას, მეთოდოლოგიას - მეტწილი შესაბამისობაა, ძირითადი ნაწილი, რაც ეხება მეთოდოლოგიას ექსპერტთა დასკვნის

---

[3] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №238/ნ - ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ

[4] საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მიხედვით საჭიროა, რომ ქართული ენა ისწავლებოდეს პირველი კურსიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ შემთხვევით არ მისცეს კურსს არჩევითობის სტატუსი, მისი მოსაზრებით იმ შემთხვევაში თუ მოვა ქართველი სტუდენტი უსდ ვერ აიძულებს მათ ასწავლონ ელემენტარული ქართული ენა. ასევე, მან დაამატა, რომ უნივერსიტეტის თითოეულ სკოლას ჰყავს თავისი ოფისის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი და ისინი სისტემატიურად მუშაობენ სტუდენტებთან და ურჩევენ, უხსნიან ყველაფერს. იმას, რომ კურსი მეორე აკადემიური წლიდან ისწავლება, მისი თქმით, თავისი მეცნიერული საფუძველი აქვს, ინგლისელი და ამერიკელი ამ პროგრამის შესასწავლად არ ჩამოვა, ამიტომ, ის სტუდენტი, რომელიც ჩამოვა ამ საგანმანათლებლო პროგრამის ინგლისურ ენაზე შესასწავლად - ეს ენა მისთვის უკვე უცხო ენაა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის თვითონ არის ფსიქოლინგვისტი და მისთვის ეს ნაცნობი სფეროა, ფსიქოლინგვისტიკა მისი განმარტებით არის მეორე ენის შესწავლის მექანიზმების შესწავლა და შედეგად მეთოდოლოგიის გამომუშავება. მისი თქმით, მიუღებელია ფსიქოლინგვისტიკაში ორი უცხოენის პარალელურად სწავლება, მათი ამოცანა არის სტუდენტს მიაწოდონ ახალი ტერმინები ინგლისურ ენაზე. მაგალითად, როდესაც ინდოელი სტუდენტი მოდის, იცის ინგლისური ენა, მაგრამ არ იცის რა არის სამედიცინო კლიშეები ეს გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ყურადღება გამახვილებულ იქნა ამ ტერმინებზე და შემდეგი კურსიდან უკვე ქართული ენის შესწავლაზე, რადგან ასე ისინი უფრო მარტივად შეძლებდნენ ტერმინების იდენტიფიცირებას.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ უცხოელ სტუდენტებს ქართული ენის ცოდნა სჭირდებათ შემდგომ პაციენტებთან ურთიერთობაში, მაგრამ სტუდენტები პაციენტებთან შედიან მესამე - მეოთხე კურსზე და მეორე კურსიდან ისინი ემზადებიან ამ კომუნიკაციებისათვის. ასევე, მან დაამატა, რომ თუ ექსპერტები თვლიან და საბჭოც დაეთანხმება მათ, რომ პირველი კურსიდან არის სავალდებულო ქართული ენის სწავლება უცხოელისათვის ისინი ამასაც დაეთანხმებიან.

რაც შეეხება ვებ - გვერდზე ინფორმაციის განთავსებას ინგლისურ ენაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაიარეს ავტორიზაცია, სადაც მათ ჰქონდათ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული და შესრულებული. მისი თქმით, ყველა მარეგულირებელი წესი, დებულება, რაც დაკავშირებული იყო პროგრამებთან, ხარისხთან და ორგანიზაციულ საკითხებთან ყველა დოკუმენტი ატვირთულია ვებ - გვერდზე. ყველა სამსახურს აქვს თავისი გვერდი, ხელმძღვანელის ფოტოსურათით, საკონტაქტო ინფორმაციით, თუმცა არაა მითითებული საკონტაქტო საათები, რადგან სტუდენტი მისი განმარტებით არ არის შეზღუდული მიღების საათებით.

პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით ექსპერტები წერენ, რომ შეფარდება სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს შორის კარგია, თუმცა აუცილებელია ქართული ენის ცოდნა. სასწავლო გეგმა მოწონებლია, დისციპლინების თანმიმდევრობა, მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. ექსპერტების რეკომენდაციით, ყურადღება უნდა მიექცეს სიმულაციური ცენტრის სისტემატურ განვითარებას - რასაც უსდ -ს წარმომადგენლის თქმით,

ისინი ეთანხმებიან. მან ასევე დაამატა, რომ 2.2 ქვესტანდარტი შეფასებულია, როგორც მეტწილი შესაბამისობა, თუმცა რეკომენდაცია მითითებული არ იყო ექსპერტების მხრიდან. 2.3 ქვესტანდარტი - სასწავლო კურსი, რაც ითხოვს ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ექსპერტები წერენ, რომ ეს ყველაფერი შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს, მაგრამ ხელმეორედ აღნიშნავენ ქართული ენის სავალდებულოდ სწავლების აუცილებლობას პირველი კურსიდან. უსდ - ს წარმომადგენელი განმარტავს, რომ სტრუქტურულ ნაწილში ქართული ენის სავალდებულოება მისთვის მისაღებია, მაგრამ სასწავლო კურსის შინაარსთან ამის ხელმეორედ დაფიქსირება და ერთი და იგივე კომპონენტის ორჯერ შეფასება ზოგადად მიუღებელია. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ლიტერატურა ექსპერტების მხრიდან დადებითადაა შეფასებული, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ლიტერატურა. ტრანსფერული უნარები (2.4 ქვესტანდარტი), სწავლა სწავლების მეთოდები (2.5 ქვესტანდარტი), შეფასების მეთოდები (2.6 ქვესტანდარტი) შეფასებულია სტანდარტთან სრული შესაბამისობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის მთავარი ასპექტები რითაც პროგრამა ხასიათდება, პროგრამის მიზნები, შედეგები, სწავლების მეთოდები და შეფასების მეთოდები, ლიტერატურული მასალა ექსპერტების მხრიდან შეფასდა დადებითად. სტუდენტებთან ინდივიდუალურ და საკონსულტაციო მუშაობასთან დაკავშირებით, კი აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმართველობა დაწესებულებაში არის, არსებობს ფეისბუქ გვერდი - სტუდენტური ცხოვრება, ცალკეულ ფაკულტეტებზე - კლუბები, მათივე ინიციატივით შექმნილი.

საბჭოს თავჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი ჩაეკითხა ექსპერტს თუ რას გულისხმობდა ის, როდესაც თქვა, რომ არ არსებობს სტუდენტური თვითმართველობა?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ განმარტა, რომ არ არსებობს დაწესებულებაში კვლევითი სტუდენტური ორგანიზაცია, სტუდენტური კავშირები ამ მიმართულებით, თვითმართველობა არსებობს, თუმცა სასურველია არსებობდეს სტუდენტური სამეცნიერო ორგანიზაციებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ჰკითხა ექსპერტს, არააკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში დაწესებულებას როგორ ეყოლებოდა ამ პროგრამაზე სამეცნიერო კვლევითი სტუდენტური კავშირები, რაზეც ექსპერტმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ მათ ეს რეკომენდაცია გასცეს სხვა ფაკულტეტებიდან გამომდინარე, მაგალითად სტომატოლოგიის ფაკულტეტსაც არ ჰქონდა ასეთი კავშირები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო იყოს ექსპერტთა მოსაზრებები უშუალოდ განსახილველ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარიამ თევზაძემ განმარტა, რომ ის თავად სტუდენტია და ევალებოდა ამ კუთხის ორგანიზება. მისი განმარტებით, ისინი გაესაუბრნენ სხვა

ფაკულტეტის სტუდენტებს, ძირითადად სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც კმაყოფილები იყვნენ სწავლების ხარისხით, ჩართულები იყვნენ სწავლის პროცესში, მაგრამ არცერთ მათგანს არ აღუნიშნავს უნივერსიტეტის ბაზაზე რაიმე სამეცნიერო გაერთიანების შესახებ. მისი განმარტებით, საუბარი არ იყო თვითმართველობაზე და სტუდენტურ კავშირზე, რომელიც ძირითადად სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს უწევს ორგანიზებას, არამედ საუბარი იყო საგანმანათლებლო სტუდენტურ კავშირებზე, სამეცნიერო ორგანიზაციებზე, რომლებიც ჩაატარებდა კვლევებს, რეკომენდაციაში იყო საუბარი სწორედ ამის გაუმჯობესებაზე.

საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ დააზუსტა ექსპერტთან, გაესაუბრნენ თუ არა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარიამ თევზაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ესაუბრნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დაწესებულებას აქვს სამეცნირო სექციის სტუდენტური გაერთიანებაც და რაც შეეხება ამ კუთხით განვითარებას, ისინი ეთანხმებიან ექსპერტებს. მან შემდეგ რეკომენდაციასთან, დასაქმების ცენტრის გვერდზე ინგლისურენოვანი ინფორმაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დასაქმების ცენტრის გვერდზე იდება ინფორმაცია იმ ვაკანტური ადგილების შესახებ, რომელსაც ისინი მოიპოვებენ და წარუდგენენ სტუდენტებს, მათ ინგლისურენოვანი კონტიგენტი არ ჰყოლიათ და შესაბამისად ამ ინფორმაციას არც დებდნენ. ხოლო, რაც შეეხება კონსულტაციებსა და დამოუკიდებელ მუშაობას მან აღნიშნა, რომ მათ აქვთ სისტემა ჩამოყალიბებული. ასევე, უცხოელ ექსპერტთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც ის თავად გაესაუბრა მას მისთვის გასაგები იყო რეკომენდაციები და შენიშვნები, თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, უცხოელ ექსპერტს არ აქვს გათვალისწინებული ქართული რეალობა, რაზეც საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა უპასუხა, რომ ორი ქართველი ექსპერტიც იზიარებდა უცხოელი ექსპერტის მოსაზრებას.

ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლება, სწავლების გამოცდილებით თანამშრომლები შერჩეულები კარგად და სრულად შეესაბამებიან თავიანთ კვალიფიკაციას ანუ ხარისხობრივი მაჩვენებელი სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან და მის დისციპლინებთან. ხოლო, მოწვეული და აკადემიური თანამშრომლების დაქირავებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ აქვთ შექმნილი პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც მოითხოვა ავტორიზაციის საბჭომაც, თანდართულია თვითშეფასების ანგარიშზე და დევს ვებ - გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ივანა ობორნა სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის საშუალებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ივანე ობორნა მიესალმა საბჭოს და განაცხადა, რომ ვიზიტის პირველ დღეს მოინახულეს კლინიკები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და აუდიტორიები. განმარტა, რომ შემოწმების დროს იხელმძღვანელეს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ გაცემული რეკომენდაციებით, და სახელმწიფოს მიერ

დადგენილი სტანდარტებითა და კანონმდებლობით. პროგრამის შესწავლისა და შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ პირველი და მეხუთე სტანდარტი სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მეორე და მესამე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს და მეოთხე სტანდარტი კი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ივანა ობორნამ განაცხადა, რომ დაწესებულებას მიეცათ რეკომენდაცია მომსახურე პერსონალს აემაღლებინა უცხო ენის ცოდნის დონე, რადგან პროგრამა ინგლისურენოვანია და გათვლილია მოემსახუროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ასევე, სტუდენტებს წარმოედგინათ ინგლისური ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატები. მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის შენარჩუნების მიზნით მისაღები სტუდენტების კონტიგენტის მაქსიმალური რაოდენობაა წელიწადში 50 სტუდენტი უნდა იყოს. ასევე განაცხადა, რომ არსებული პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული ჩანს პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან, იმ შემთხვევაში თუკი ქართული ენა იქნება სავალდებულო კურსი. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ამომწურავ მონაცემთა ბაზებს, მაგალითად კემბრიჯის ჟურნალებზე, ასევე, New England Journal of Medicine-სა და BioOne-ზე წვდომით. ამასთან ერთად, ეს მონაცემთა ბაზები არსებითია მცირე ჯგუფური მუშაობისთვის, როგორიცაა PBL-ის გაკვეთილები, რადგან იგი ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ გამოიყენონ ასეთი ტიპის კვლევის წყაროები. მნიშნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა განაგრძოს ინვესტირება ასეთ ონლაინ მონაცემთა ბაზებში. ეს მონაცემთა ბაზები ძლიერ საფუძველს ქმნიან კვლევითი შესაძლებლობებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის მთლიანი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ხარისხის სამსახურსა და უნივერსიტეტის სტრუქტურებს შორის უნდა იყოს გაწერილი დეტალურად. ასევე, ისაუბრა უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელ ტრენინგებზე და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არსებული ფინანსური და მატარიალური რესურსებით უნივერსიტეტი შეძლებს წელიწადში მხოლოდ 50 სტუდენტის მიღებას, ხოლო თუ გადაწყვეტენ კონტიგენტის გაზრდას შესაბამისად მეტი ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსების მობილიზება დასჭირდებოდათ. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი დამოკიდებული სტუდენტთა სწავლის საფასურზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს პროგრამის სტაბილურობას. მისი აზრით უნივერსიტეტს უნდა მოეძებნა დამატებითი სხვა ფონდები და შემოსავალი, რომელიც პროგრამის ხარგრძლივობის განმავლობაში (6 წლის განმავლობაში) უზრუნველყოფდა მის სტაბილურობას და მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ განმარტა, რომ ქართულ თარგმანში უცხოელი ექსპერტის ზოგიერთი რეკომენდაცია არ იყო სრულად მოცემული. მისი თქმით, ქართულ დასკვნასა და ინგლისურ დასკვნას შორის არსებობს ხარვეზები.

დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს თავჯდომარეს მიეცათ მისთვის საშუალება მოკლე სამ წუთიანი ვიდეო კლიპის ჩართვისა, რათა მათ შეჰქმნოდათ წარმოდგენა მულაჟებისა და ოთახების შესახებ. ის აკეთებდა კომენტარებს კლიპის მიმდინარეობისას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ არაჩვეულებრივი საოპერაციო ოთახი, თავისი სასტერილიზაციო ოთახით. კლიპის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხოელი ექსპერტი ყოველ ოთახში შესვლისას იძახდა, რომ არაჩვეულებრივი მდგომარეობაა (excellent). ასევე დაამატა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა

აღნიშნეს, რომ დაწესებულებას არ აქვს იაფასიანი, არამედ მაღალი დონის არაერთჯერადი გამოყენების პროდუქცია. სამედიცინო სტანდარტით, მისი თქმით, ორი მულიაჟია გათვალისწინებული: ტრამვენია და მოვლის მულაჟი. ვიდეო კლიპიდან კი ჩანს, 7 მანეკენი, რომლიდანაც 3 რობოტიზირებული. არის ფარმაციის მულაჟი, არის 10 ხელის მულაჟები, დამატებით კიდევ პადები და სხვა, შესაბამისად, ეს ყველაფერი დასაწყისისთვის საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

უნივერსიტეტის პერსონალთან დაკავშირებით, დაამატა, რომ ავტობიოგრაფიები განახლებადია ყოველ წელს. უნივერიტეტი მათთან დებს გენერალურ ხელშეკრულებას, რომელსაც ახლავს აფილირების შესახებ შეთანხმება, სადაც წერია ვინ რა ვადით არის არჩეული, რა უფლებები აქვთ და ა. შ. ანუ სამართლებრივად ეს მდგომარეობა გამყარებული აქვთ.

წერილობით მატერიალურ რესურსებში აკადემიურ - მეცნიერული პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოში აკადემიური და მეცნიერული პერსონალი ერთ პერსონალშია გაერთიანებული და ორივეს აქვს, როგორც აკადემიური ასევე, სამეცნიერო დატვირტთვა. მისი თქმით, მათ აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი, რომელიც აღიარა ავტორიზაციის საბჭომაც, ყოველ აფილირებულ პედაგოგზე 35 სტუდენტი მოდის, ერთი კომპიუტერული ტექნიკა - 20 სტუდენტზე და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ დაამატა, რომ 5 ინტეგრირებულ საგანში წერია ერთი და იგივე პედაგოგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პი ბი ელ (PBL) და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებაში (CBL) სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიურ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: სალექციო ჯგუფი - არაუმეტეს 50 სტუდენტი, სასემინარო - არაუმეტეს 25 სტუდენტი, პრაქტიკული, ლაბორატიული სამუშაო ჯგუფი - 16 სტუდენტი, პი ბი ელ - 8, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL) – 12 სტუდენტი, სტომატოლოგიურ ან ავადმყოფის საწოლთან სტუდენტი - არაუმეტეს 6 სტუდენტი.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, დაეზუსტებინა, ეს შეფარდება რამდენად აკმაყოფილებდა პროგრამისთვის დადგენილ სტანდარტს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ სასემინარო ჯგუფებთან დაკავშირებით უპასუხა, რომ სასურველია არაუმეტეს 20 სტუდენტისა, ლაბორატორიული სამუშაო - არაუმეტეს 10 სტუდენტი, პი ბი ელ - 8, ავადმყოფის საწოლთან - 6. მან ასევე, დაამატა, რომ ვიზიტის დროს ამის შესახებ ინფორმაცია დაწესებულებას მათთვის არ მოუწოდებია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი გაგზავნილი იყო თვითშეფასების დანართებთან ერთად. დაწესებულების წარმომადგენელმა უცხოეული

ექსპერტის კომენტართან დაკავშირებით, - რომ უნივერსიტეტი გეგმავს 100 სტუდენტის მიღებას და მას შეუძლია არაუმეტეს 50 სტუდენტის მიღება პროგრამაზე - განმარტა, არ არსებობს არანაირი ოფიციალური დოკუმენტი, რომ ისინი გეგმავენ უფრო მეტი სტუდენტის მიღებას, ვიდრე წარმოდგენილი და გათვლილი აქვთ პროგრამის ბიუჯეტით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურის უფროსმა თქვა, რომ გეგმავდნენ 100 სტუდენტის მიღებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ არსებობს არცერთი ოფიციალური დოკუმენტი ამის შესახებ და დაამატა, რომ კონტიგენტს განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო და ექსპერტები და არა აკრედიტაციის საბჭო და მისი ექსპერტები. რაც შეეხება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომენტარს 100 სტუდენტის შესახებ, მან განმარტა, რომ როდესაც ის ესაუბრა უცხოელ ექსპერტს კითხვაზე თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებს დაწესებულება ამ პროგრამაზე მან უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იყო იმაზე თუ რამდენად მოთხოვნადი იქნებოდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე, მან საბჭოს თავჯდომარეს წარუდგინა საგანმანათლებლო პროგრამის 16 სტუდენტზე განსაზღვრული ბიუჯეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს: მათი აზრით, რამდენი სტუდენტის მიღების პოტენციალი ჰქონდა უნივერსიტეტს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ არსებული რესურსი საკმარისია 50 სტუდენტისათვის, თუმცა ვიზიტის დროს, ყოველი გასაუბრებისას ადმინისტრაციის პასუხი იყო 100 სტუდენტი, მართალია, ამას დოკუმენტურად ვერ წარმოადგენს, რადგან დოკუმენტებში ეს ციფრი არაა დაფიქსირებული მაგრამ ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს ითქვა, რომ აგენტთან იყო შეთანხმება 100 სტუდენტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოწვეული პედაგოგების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ის არ არის დროებითი და ხელშეკრულების ვადაა პროგრამის სრულ ამოწურვამდე, აფილირებულ პედაგოგთან კი ვადებია განსაზღვრული. პროგრამის სრულ ამოწურვაში იგულისხმება სასწავლო გეგმის ამოწურვა, სადაც იგულისხმება იმდენი სემესტრი რამდენიც აღებული აქვს პედაგოგს.

სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიციურ და კომპეტენტურ პერსონალთან და სრული დატვირთვის კონტრაქტებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან ექსპერტებს თუმცა, თვით სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც კი ყველა თანამშრომელი არ არის სრული განაკვეთით. სწორედ ამიტომ აღნიშნა მან, რომ საქართველოს რეალობა ცოტა სხვანაირია და იმიტომ ჰქონდა შენიშვნა უცხოელ ექსპერტს, იმაზეც, რომ მოწვეულ პერსონალს საათობრივი ანაზღაურება აქვს.

რაც შეეხება, აკადემიური თანამდებობის ჩამოყალიბებას მან აღნიშნა, რომ ის განისაზღვრება შემდეგნაირა: 2 000 საათი 1 პროფესორის ადგილი, საათების რაოდენობას ქმნის სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა და თუ არ იქნება ეს რაოდენობა აკადემიური პერსონალის ადგილებს

ვერ შექმნიან. შესაბამისად, როდესაც ჯერ არ არის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა და არ არის სტაბილური სტუდენტთა რაოდენობა ისინი ვერ მიიღებენ პერსონალს.

ევროპის ერთ - ერთ დოკუმენტზე „ფულ თაიმ ბეიზის" ( full time basis) უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით უცხოელი ექსპერტი გულისხმობს ყველა დასაქმებული პერსონალის საათების დატვირთვის განაწილებას. მათი პერსონალის მართვის დოკუმენტი სწორედ ამ დოკუმენტის ბაზაზეა შექმნილი. მისი თქმით, პროფესორი ადამიანი, რომელიც კლინიკაშიც მუშაობს, სამეცნიერო დატვირთვასაც ასრულებს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ვერ იქნება სამსახურშიც.

18:49 საათზე გიორგი ქვარცხავამ დატოვა საბჭო.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გორგი გაბისონიამ განმარტა, რომ ეს დოკუმეტი გულისხმობს სრული შტატის დატვირთვას, ერთი სამუშაო შტატის განსაზღვრა შესაძლოა მოხდეს რამდენიმე ქვეშტატების მიერ, FTA მეთოდოლოგია არის თანამედროვე და უცხოელი ექსპერტი მოუწოდებდა უნივერსიტეტს ამ მეთოდის გამოყენებისკენ. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე 100 სტუდენტისთვის თანაფარდობა აფილირებულსა და მოწვეულ პერსონალთან 22% / 78% თან არის შეუსაბამო, 14 აფილირებულიდან 6 სრული პროფესორიც არის არასაკმარისი.

საბჭოს მდივანმა ნინო ლიპარტიამ ჰკითხა ექსპერტს აფილირებულ, სრულ პერსონალთან შეფარდება როგორი იყო, რაზეც მან განუმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს, მოწვეული - 51, აკადემიური - 20 და 20 - დან აფილირებული - 14. ასევე, დაამატა, რომ უცხოელი ექსპერტი ითვლიდა აფილირებულს და 14 აფილირებულიდან 6 სრული პროფესორი ჩათვალა არასაკმარისად. ნინო ლიპარტია ჩაეკითხა ექსპერტს 50 სტუდენტისთვის იყო თუ არა საკმარისი ეს რაოდენობა.

ექსპერტმა კი უპასუხა, რომ 50 სტუდენტისთვის საკმარისია, სამი წლის განმავლობაში, რაც იყო უცხოელი ექსპერტის რეკომენდაცია. პრობლემა კი იყო ძირითადად კლინიკურ ბაზებთან და აფილირებულ პერსონალთან. აგრეთვე, ინტეგრირებულ საგნებში, მოდული 1 დან მოდული 5 - ის ჩათვლით, (104 c; 109 c; 115 c; 116 c; 120 c; 125 c; ) პერსონალი ძირითადში იყო ერთი და იგივე. შესაბამისად, უცხოელი ექსპერტის რეკომენდაცია იყო 50 სტუდენტი, რასაც ისინიც დაეთანხმნენ. მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამა მათი აზრით, ძალიან კარგ მდგომარეობაშია, პრობლემა არის მულტიპროფილური კლინიკური ბაზები და პერსონალის რაოდენობა. მულტიპროფილური ბაზები არის ბაზები, სადაც სტუდენტებმა უნდა გაიარონ თერაპიული და სხვა საგნები. მხოლოდ 2 ასეთი ბაზა აქვს უნივერსიტეტს, რომლიდანაც ერთ - ერთში იმყოფებოდნენ ექსპერტები. ამ ბაზაზე ყოფნისას ისინი შეხვდნენ პერსონალს, რომელმაც აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ სხვაგანაც, აქედან გამომდინარე ამან განაპირობა უცხოელი ექსპერტის რეკომენდაციის გაცემა პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და სტუდენტის რაოდენობის მიღების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალის სხვაგან მუშაობის რეგულაცია უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს დოკუმენტაციით, პერსონალის მართვის პოლიტიკით, რომელსაც საბჭოც გაეცნო.

ექსპერტებთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ პერსონალს გასაუბრებისას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა ექსპერტს პერსონალის გადაფარვასთან დაკავშირებით, მაგალითად მოიყვანა და აღნიშნა, რომ კურიკულუმის დიზაინით პირველი სემესტრი მიძღვნილია მედიცინის საფუძვლები: ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია. (foundation of medicines: basics histology, cytology, embryology), რომელიც მიჰყავს მარინა ნებიერიძეს, შემდეგი სემესტრი ინტეგრირებული მოდულისთვის, მაგალითად ნეირონების მეცნიერება 1 (neiro science 1) რომელშიც დაინტეგრირებულია 4 კურსი: ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, რომლებიც ასევე მიჰყავს მარინა ნებიერიძეს. შემდეგ სემესტრში არის შემდეგი ინტეგრირებული მოდული ნეირონების მეცნიერება 2 (neiro science 2), სადაც იგივე სტრუქტურაა და ისევ ჰისტოლოგიის ნაწილი მიჰყავს მარინა ნებიერიძეს. ასე გრძელდება მე 5 სემესტრის კურსის ჩათვლით. მისი თქმით არანაირ გადაფარვას ადგილი არ ჰქონია და განმარტა, რომ საუბარი იყო ინტეგრირებულ მოდულში ერთ - ერთ კურსზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, გიორგი გაბისონიას, რათა მას დაეფიქსირებინა მისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ განმარტა, რომ მარინა ნებიერიძე ასწავლის პირველ და მესამე სემესტრში პარალელურად საგნებს, სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით კი სილაბუსში მითითებულია მხოლოდ ეს პედაგოგი, რომელიც ასწავლის 5 საგანს 5 სემესტრის განმავლობაში. სწორედ ამიტომ იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მიიღებდა 100 სტუდენტს (4 ჯგუფს - 25 სტუდენტი თითოში) პედაგოგის საათების რაოდენობა იქნებოდა ძალიან ბევრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომ ასეთი შემთხვევის დროს ეს პედაგოგი რა თქმა უნდა არ გაუძღვებოდა ამ კურსს მარტო და პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ სილაბუსში გაჩნდებოდა სხვა პედაგოგიც.

საბჭოს მდივანი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა პროგრამის ხარისხისა და შინაარსიდან გამომდინარე თუნდაც ერთი სტუდენტის მიღების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა გადიოდა თუ არა შედეგზე და იქნებოდა თუ არა კურსდამთავრებული კვალიფიციური, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მისი მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტს, თუმცა არასებობს კითხვები კვლევით კომპონენტთან, ქართულ ენასთან დაკავშირებით. (ქართველი სტუდენტი, რომელიც სწავლობს ინგლისურ საგანს და ინგლისულენოვანი ქართულ ენას). მან აღნიშნა, რომ მათ კომპეტენციაში არ შედის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განუმარტა, რომ მათ კომპეტენციაში შედის განსაზღვრონ გადის თუ არა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედეგებზე. ასეთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ მეტწილად გადის საგანმანათლებლო პროგრამა შედეგზე.

საბჭოს მდივანმა ნინო ლიპარტიამ დააზუსტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის პრობლემა იყო ქართული ენისა და კვლევითი კომპონენტის პრობლემა და სთხოვა ექსპერტს დაეკონკრეტენინა, რას გულისხმობდა კვლევითი კომპონენტის პრობლემაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ როგორც მას ახსოვს უცხოელ ექსპერტთან კომუნიკაციის დროს კვლევითი კომპონენტის პრობლემა იყო მისი საგნობრივად ნაკლებობა. ასევე დაამატა, რომ პედაგოგი, რომელიც სავარაუდოდ წაიკითხვას კვლევით მიმართულებას ამ საგანმანათლებლო პროგრამაში პრეზენტაციის გაკეთების სწავლებას აპირებს, როგორც ეს მასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ ეს არ იყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და ჰკითხა ექსპერტს რამდენად იყო კვლევითი კომპონენტის არსებობა აუცილებელი, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ როგორც სტანდარტშია მოცემული კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს მოცემული. ერთ - ერთი დარგობრივი კომპეტენციაა, ის რომ სტუდენტი უნდა ახორციელებდეს თანამედროვე კვლევითი მასალების გამოყენებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უპასუხა ექსპერტს, რომ სტანდარტით არის გათვალისწინებული 10 კრედიტი, რომელიც უნდა მოდიოდეს წერით კომპონენტზე და მათ ეს სტანდარტი აქვთ ბოლომდე დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განუმარტა უსდ - ს წარმომადგენელს, რომ საუბარი იყო პედაგოგის ხარისხზე, მასთან ინტერვიუს შედეგის დაწუნებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო პირველ სემესტრზე, როდესაც სტუდენტს ასწავლიან კრიტიკულ აზროვნებას და უვითარებენ აკადემიური წერის უნარებს. ასევე, დაამატა, რომ მათ აქვთ 4 კომპონენტად დაყოფილი კვლევა. პირველ კომპონენტში მოცემული კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა, რომელიც მოიცავს კვლევის წერის ერთ მონაკვეთს, დანარჩენი არის მოსამზადებული პერიოდი. შესაბამისად აღნიშნული პედაგოგი მხოლოდ პირველ კომპონენტთან იყო დაკავშირებული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ასეთი დაკონკრეტება არ მომხდარა და პედაგოგმა გასაუბრებისას თქვა, რომ ის ასწავლიდა კვლევას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ სამ ორგანიზაციასთან აქვთ სასწავლო სამეცნიერო მიმართულებით მემორანდუმები, სადაც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევები იქნება განხორციელებული. რაც შეეხება კონტიგენტის განსაზღვრას, მისი თქმით, უცხოელი ექსპერტი ხშირად მოიხსენიებს მსოფლიო ფედერაციის სტანდარტს[5]. ამ სტანდარტში არის ერთ - ერთი ქვესტანდარტი 4.2 სამედიცინო სკოლა• განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობას და უკავშირებს მას პროგრამის შესაძლებლობებს მისი განხორციელების ყველა ეტაპზე.[6] ანუ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა

[5] სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME)
[6] The medical school must

კონტიგენტს განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და არა ექსპერტი. ასევე, დაამატა, რომ სამართლებრივი კოლიზია შეიქმნება იმ შემთხვევაში თუ აკრედიტაციის ექსპერტი განუსაზღვრავს დაწესებულებას რამდენი სტუდენტი მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამაზე. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სტუდენტთა კონტიგენტს განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო, იმ ფორმულის საფუძველზე, რომელიც არსებობს. მისი თქმით, ავტორიზაციის საბჭომ მათ განუსაზღვრა სტუდენტთა კონტიგენტი და დაამატა, რომ ავტორიზაცია ნიშნავს სახელმწიფოს მიერ დაწესებულისადმი ნდობის გამოცხადებას, ყველა რესურსის აღიარებას, მათ შორის მარეგულირებელი დოკუმენტის, რომლის მიხედვითაც ისინი განსაზღვრავენ სტუდენტთა კონტიგენტს და პერსონალის რაოდენობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, განმარტა, რომ აკრედიტაციის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის გზით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და არა ბლოკირება. მისი განმარტებით, რა თქმა უნდა იდეალური იქნებოდა მთლიან განაკვეთზე მომუშავე პერსონალი, თუმცა თუ საათების რაოდენობა არ ექნებათ ისინი ვერ შექმნიან ასეთ აკადემიურ პერსონალს. სწორედ ამიტომ აქვთ მათ წინარე ხელშეკრულებები პერსონალთან. უსდ - ს წარმომადგენელმა ასევე, აღნიშნა, რომ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის ფინანსური მართვის თვალსაზრისით განსხვავება საკმაოდ დიდია.

19:12 საათზე ნათია ნოღაიდელმა დატოვა სხდომა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ ფინანსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიხედვით ის უნდა იყოს უფრო დეტალური და იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება სტუდენტის მიღება, არსებობდეს სხვა დამხმარე ფონდები. ასევე დაამატა, რომ რექტორთან გასაუბრებისას დაფიქსირდა ფონდების არსებობა, თუმცა არ დაკონკრეტდა რა ფონდებზე და თანხაზეა საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, ქეთევან ქოქრაშვილს, რომ უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში გაწერილია სარეზერვო ფონდი 30 000 ლარის ოდენობით უნივერსიტეტის განვითარებაზე. ამ ბიუჯეტში აღნიშნულია შემოსავალი სწავლის საფასურიდან და სხვა სახის შემოსავლები, რომლის წყაროები გაშიფრვაშია მითითებული. ასევე, მითითებულია მე-13 პუნქტი უნივერსიტეტის განვითარებისა და სარეზერვო ფონდის, სადაც აღნიშნულია სამედიცინო სიმულაციებისთვის გამოყოფილი თანხები 35 000 ლარი. შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტთან უნდა გაუქმდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა გაიზიარა ექსპერტების პოზიცია ქართული ენის სავალდებულოდ ცოდნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თუ მათ აქვთ პრობლემებზე დაფუძვნებული სწავლება, რაც თავისთავად გულისხმობს „ავადმყოფის საწოლთან სწავლებას", კომუნიკაციას, შესაბამისად მათ უნდა იცოდნენ ქართული ენა. რაც შეეხება დაწესებულების ბიუჯეტს, მან ჰკითხა დაწესებულებას ერთიანი ბიუჯეტი ჰქონდათ

• define the size of student intake and relate it to its capacity at all stages of the programme.

თუ საფაკულტეტო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთიანი ბიუჯეტი აქვთ. ასეთ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაეზუსტებინათ საბიუჯეტო შემოსავლების წყაროები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი სტუდენტების გადასახადიდან მიღებული შემოსავლის გარდა იღებენ შემოსავალს ექიმთა გადამზადების კლინიკური მენეჯმენტიდან, რომელიც აკრედიტებულია და ორი წელია მიმდინარეობს, ასევე, კრიმინალისტიკის ლაბორატორიული ცენტრიდან, ალტერნატიული ექსპერტიზის ცენტრიდან, სადაც იღებენ შეკვეთებს სასამართლოებიდან, ბალისტიკის ლაბორატორიიდან, სადაც იღებენ კერძო შეკვეთებსაც. ამასთან ერთად აქვთ სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც მუშაობს, როგორც სტუდენტების უფასო პაციენტებზე, ასევე ფასიან პაციენტებზეც.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა თუ ჰქონდა დაწესებულებას ფაკულტეტები, რომლებიც საჭიროებენ სუბსიდირებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დღეის მდგომარეობით არა, თუმცა მათ ჰქონდათ დაახლოებით 10 წლის წინ ასეთი ფაკულტეტი, მაგრამ იმის გამო, რომ არ იყო მოთხოვნა, ფაკულტეტი გადაყვანილი იქნა მილევად რეჟიმში, ხდებოდა სუბსიდირება, შეეძლოთ პროგრამა გაეუქმებინათ და გადაეყვანათ სტუდენტები იმ უნივერსიტეტში, ვისთანაც მათ ხელშეკრულება ჰქონდათ, თუმცა მათ ეს მექანიზმი არ გამოიყენეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს საკასო ნაშთი თუ დარჩათ ბოლო საბიუჯეტო წელს და რამდენი, რაზეც წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ კითხვის პასუხის გასაცემად მზად არ იყო ამ ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგნლებს, თუ ვერ მიიღებდნენ ისინი დაგეგმილ 16 სტუდენტს, აქვს თუ არა უნივერსიტეტს გარდა ამ 30 000 ლარისა სხვა ფონდი, რითაც შეძლებს სუბსიდირების გაწევას ამ სპეციალობასთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებლად 600 000 ლარზე მეტი ინვესტირება განახორციელა უნივერსიტეტმა თავისი ფონდებიდან, მანეკენებისა და მულიაჟების გარდა ამ თანხაში შედის ფართების გადაკეთება, პი ბი ელის, ოსკეს ოთახები მისი ავეჯით და ა. შ, რაც უკვე განხორციელებული აქვთ. მისი განმარტებით, კერძო სამართლის იურიდიული პირი საწყის ინვესტირებას გასცემს და შემდეგ ახდენს რეინვესტირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს 71 000 დოლარით შეძლებდა თუ არა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა 1 წლის განმავლობაში არსებობას, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ მისთვის რთულია ამ შეკითხვაზე გასცეს პასუხი, რადგან ის არის დიპლომირებული მედიკოსი და არ არის ფინანსისტი.

საბჭოს თავჯდომარემ კი აღნიშნა, რომ თუ ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა განსახილველ პროგრამაზე ამ (საწყის) ეტაპზე დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ აზა მოითხოვს ყოველწლიურ

შევსება/განახლებას, 16 – 20 კაციანი ჯგუფისთვის მითითებული თანხა პროგრამის განსახორციელებლად საკმარისია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა საბჭოს მოწვეულ წევრებს სთხოვა გამოეხატათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს მოწვეული წევრი, დავით გაგუა დაინტერესდა რა კლინიკური ბაზები აქვს დაწესებულებას, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ ესენი იყო ევექსი, ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი, კლინიკა გული და ა. შ, მთლიანობაში 11 კლინიკური ბაზა.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ განაგრძო დავით გაგუას შეკითხვა და ჰკითხა ექსპერტებს თუ რატომ არ იყო 11 კლინიკური ბაზა საკმარისი, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი გაბისონიამ  უპასუხა, რომ საუბარი იყო მულტიპროფილურ ბაზებზე და ამ ბაზებზე აფილირებულია სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიც, შეკითხვა იყო შეძლებდა თუ არა კლინიკური ბაზა ვიზიტის დროს დაფიქსირებული სტუდენტების რაოდენობის მიღებას. მისი თქმით, არსებობს მემორანდუმები, თუმცა ამ მემორანდუმებში არ არის გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობა და მიმართულებები, რომელსაც გაივლიან სტუდენტები იმ ბაზებზე. რეკომენდაცია გაიცა სწორედ ამის შესახებ, რომ მაგალითად არსებობდა სხვა 1 წლიანი მემორანდუმიც, სადაც მოცემული ინფორმაცია არ იყო აღნიშნული.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ ჰკითხა ექსპერტს რატომ არ ეყოფოდა ამდენი კლინიკური ბაზა მოცემულ 16 სტუდენტს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ყურადღება არ გაამახვილეს 16 სტუდენტზე, არამედ ვიზიტების დროს გასაუბრებისას დაფიქსირებულ 100 სტუდენტზე.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დავით გაგუამ განმარტა, რომ რეგულირების სააგენტო განსაზღვრავს რამდენ პაციენტზე რამდენი სტუდენტი მომზადდება და მემორანდუმები არაფერს არ წყვეტს, თუმცა დაინტერესდა აქვთ თუ არა უსდ - ს გათვლილი შემთხვევა, როცა შესაძლოა ერთდროულად 16 სტუდენტისთვის არ იყოს ადგილი შესაბამის კლინიკურ ბაზაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ თუ ისინი გაწერენ 15 – 15 პერსონალს დოკუმენტით, მან არ იცის 6 წლის შემდეგ ეს პერსონალი იქნება თუ არა, შესაბამისად ისინი ასეთ დოკუმენტს ვერ შექმნიან.  მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მიზანი არ არის კონტიგენტის განსაზღვრა.

საბჭოს მოწვეული ექსპერტი პაატა იმნაძე დაინტერესდა ავტორიზაციით რა კონტიგენტი ჰქონდა განსაზღვრული დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა 3 000 მეტი ადამიანი ყველა ფაკულტეტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დააზუსტა, რომ უნივერსიტეტს აქვს 50 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, თუმცა ვიზიტის დროს დაფიქსირდა სხვა ციფრიც.

საბჭოს მოწვეული წევრი, ხათუნა ზალდასტანიშვილი დაინტერესდა, არსებობს თუ არა პრინციპი, თუ რამდენ სტუდენტზე რამდენ, რა ტიპის (პროფილის) და რა სიმძლავრის კლინიკურ ბაზებთან უნდა  დადოს უნივერსიტეტმა მემორანდუმი. აღნიშნული მოთხოვნები,

შესაძლებელია, დაკონკრეტებული იყოს ხელშეკრულების ფორმატით. დაინტერესდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დარღვეულია თუ არა უნივერიტეტის მიერ, აღნიშნული პრინციპი. რაზეც დამსწრე საზოგადოებამ უპასუხა, რომ ასეთი პრინციპი ზოგადად არ არსებობს.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ განმარტა, რომ მაგალითად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკასთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს დიპლომის შემდგომ უწყვეტი პროფესიული სწავლების თვალსაზრისით ის აღარ თანამშრომლობს სხვა უმაღლესს სასწავლებელთან (post diploma).

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დაამატა, რომ უცხოელი ექსპერტების მიერ ხშირად არის რეკომენდებული მემორანდუმებში ასეთი ინფორმაციის გაწერისა, თუმცა ასეთი რეგულაცია ჩვენს რეალობაში არ არსებობს.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ დაამატა, რომ კლინიკის ფართი თუ იძლევა საშუალებას შესაძლოა პაციენტების ადეკვატური რაოდენობის გატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დაამატა, რომ კარგი იურისტის დახმარებით შესაძლოა ისეთი მემორანდუმის შედგენა, რომელიც დაავალდებულებს მხარეს სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრას და ა. შ.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დავით გაგუამ აღნიშნა, რომ სამედიცინო სფერო არის ფაქიზი სფერო და საჭიროა სტუდენტების საფუძვლიანი მომზადება, ისე რომ შევძლოთ შვილების ნდობა მათთვის.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, გიორგი ხუფენიამ დაამატა, რომ დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობას რაც დღეს დაფიქსირებულია სტატისტიკით სჭირდება მაქსიმუმ 180 მკურნალი წელიწადში.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ გაიანე სიმონიამ გამოგზავნა თავისი შენიშვნები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით და მას აქვს შეკითხვა, კლინიკური უნარ - ჩვევების შეფასების სისტემაში შუალედურ გამოცდაში ( 36 ქულა) ემ სი ქიუ ტესტების გამოყენებაზე. მისი თქმით, როცა ხდება კლინიკური უნარ - ჩვევების შეფასება გამოიყენება ოსკის გამოცდა. ოსკით მოწმდება კლინიკური უნარები, ემ სი ქიუ (MSQ) ტესტებით კი მხოლოდ თეორიული ცოდნა, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა რატომ იყო გამოყენებული ემ სი ქიუ - ს ტესტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლინიკური უნარ - ჩვევების კურსში გამოკითხვისა და შეფასების კრიტერიუმი ყოველდღე არის სტუდენტის მიერ კლინიკური უნარების გამოვლენა, მათ იფიქრეს სხვა გამოცდის ჩამატება სასურველად, თუმცა ამ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ და გამოასწორებენ ამ პუნქტს. შესაბამისად, კლინიკური უნარებზეც იქნება გამოყენებული ოსკის გამოცდა.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ განუმარტა, რომ მათ შეუძლიათ რომელიმე საგნის, კონკრეტული დისციპლინის სწავლებისას შესაძლოა გამოცდაში გააკეთონ გამოცდა. ასევე დაამატა, რომ გაიანე სიმონიას გამოგზავნილი შენიშვნების საფუძველზე დაწესებულებას მოუწევს საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გარკვეული ცვლილებების

განხორციელება, მაგალითად, ნუტრიციოლოგიაში მითითებულია სამტომეული, მეორე სემესტრში - ჰარისონი, ბეითსი - მე-12.

დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა საბჭოს წევრს, რომ სამტომეული სარეზიდენტო დონეა, მაგრამ სახელმძღვანელო სილაბუსში არის მითითებული ნომინალურად და რეალურად სტუდენტებს წარუდგებათ ამ სახელმძღვანელოდან ამოღებული ჰენდაუთები, ბეითსშიც ანალოგიურად. მისი თქმით, ინტეგრირებულმა სწავლებამ შექმნა ბევრი შეკითხვები, მიიღეს კონსულტაციები და ისინი აპირებენ კიდევ დაკორექტირებას აღნიშნული სილაბუსების.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ მიუთითა დაწესებულებას ასეთ შემთხვევაში მიეთითათ გვერდები სილაბუსში, რაზეც უსდ - ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ შექმნილი ასეთი სილაბუსიც, მაგრამ შემდგომში სხვანაირად გადაწყდა სილაბუსის ჩამოყალიბება, თუმცა ამასაც გამოასწორებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

შესვენება გამოცხადდა 19:45 საათზე
სხდომა განახლდა: 20:35 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და გამოკვეთა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა მედიცინის პროგრამისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტები, რომელშიც იყო გათვალისწინებული სარეზერვო ფონდი და სხვა შემოსავლები წყაროების მიხედვით (გარდა სწავლის ღირებულებისა). ამავე დროს, პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 6 წლის ვადით. აღნიშნულისა და არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილებით მე-4 სტანდარტი რომელიც ექსპერტების მიერ არის შეფასებული "ნაწილობრივ შესაბამოსობაშია მოთხოვნებთან" შეიცლოს და შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:**

1: პროგრამის მიზნის თანახმად (როგორც ეს განცხადებულია თვითშეფასების ანგარიშში), განსაკუთრებული ყურადღება პროგრამის დასაწყისიდანვე დაუთმეთ ქართული ენის უნარების გავითარებას სტუდენტებში, რათა მიეცეთ შესაძლებლობა უკეთ დაამყარონ კომუნიკაცია პაციენტებთან, ისევე როგორც - პერსონალთან კლინიკის პირობებში (მუხლი 4, პუნქტი 2.ა.ბ).

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებების დროში განაწილება და კონტენტი უნდა დასახელდეს/გაცხადდეს (ყოველი სემესტრის შემდეგ, ყოველი საგნის დასრულების შემდეგ...). ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასებაში ასევე უნდა მოიცვას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებები, რათა უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. საჭიროა დაკონკრეტდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის მთლიანი პროცესი, მათ შორის დროში განაწილება და პასუხისმგებლობები.

2: განსაკუთრებით არის რეკომენდებული სტუდენტთა კავშირის განვითარების აქტიური ხელშეწყობა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაა, ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია მხედველობაში მივიღოთ სტუდენტური ორგანიზაციების დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით (მედიცინა, ბიზნესი....). უნდა განვითარდეს სტუდენტური კავშირის სამეცნიერო მიმართულება.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი უნდა შეიცავდეს ყველა უნივერსიტეტში არსებული ცენტრის შესახებ განახლებულ ინფორმაციას, მათ შორის საკონტაქტო საათებსა და ხელმძღვანელი პირების შესახებ ინფორმაციას.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ერთი და იმავე ინფორმაციის არსებობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ან სამედიცინო სკოლამ უნდა უზრუნველყოს OSCE ტრენინგი შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის. უნდა მომზადდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების განრიგი. ასევე, დამატებითი ტრენინგი უნდა ჩატარდეს მათთვის, ვინც უკვე გაიარა გადამზადება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს OSCE-ს.

სიმულატორების/მანეკენების რაოდენობა თანდათანობით უნდა გაიზარდოს სტუდენტების რაოდენობის ზდრის შესაბამისად.

გააფართოებული ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიოს არსებობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი კურსის მსვლელობისას.

**გააფართოვეთ და აწარმოეთ თანამშრომლობა საავადმყოფოებთან/ჯანდაცვის დაწესებულებებთან, სადაც ტარდება კლინიკური ტრენინგები.**

უნდა მომზადდეს პაციენტის თანხმობა საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პაციენტის მონაწილეობა, როგორც სტანდარტიზებული პაციენტის OSCE-ს გამოცდებში უნდა შედგეს.

ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე ინგლისურ ენაზეც.

საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- არჩევით საგნად განისაზღვროს სამედიცინო სამართალი;
- გერიატრია შეტანილ იქნეს სავლდებულო საგნად.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის:
**საგანმანათლებლო პროგრამა** - ,,დიპლომირებული მედიკოსი" (ინგლისურენოვანი)
**საფეხური** - ერთსაფეხურიანი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - დიპლომირებული მედიკოსი (0901)
**მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით,** ასევე დააუევა შუამდგომლიბა, სსიპ-განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრმა 1 წლის თავზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდეს მონიტორინგის ვიზიტი.

**4.სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ხელოვნების მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამეზე წარმოდგენილი ანარიშის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ხელოვნების მენეჯმენტი |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მენეჯმენტის დოქტორი (ხელოვნების მენეჯმენტში) 0203 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |

**საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა** საბჭოს წევრებს აცნობა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ ესწრება აღნიშნული საკითხის განხილვას.

საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით მოითხოვეს აღნიშნული საკითხის გადადება

და მომდევნო საბჭოს სხდომამდე. მოითხოვეს, რომ დაესწროს დაწესებულების წარმომადგენელი და ასევე სსიპ - განათლების ხარსიხის განვიტარების ეროვნულ ცენტრს მიმართეს შუამდგომლობით, დაწესებულებამ ანგარიში წარმოადგინოს ცენტრის დირექტორის მიერ 2019 წლის 27 ივნისის ბრძანებით დამტკიცებელი ფორმით

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 20:43 საათზე.

თავმჯდომარე:
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი:
ნინო ლიპარტია